სწორედ ეს მახარებს

როცა მესმის ქართველ სპორტსმენ ქალთა გამარჯვების ამბავი, მე როგორც ბევრის მომსწრეს, უნებლიედ გამახსენდება საქართველოს სპორტი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. სად იყო მაშინ ამდენი ბაზა, მწვრთნელი, სპორტსმენი? დღეს რომ გვესმის, მაგალითად, ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატება, ბუნებრივად მიგვაჩნია. ჩემს ახალგაზრდობაში კი ჭადრაკს არავინ თვლიდა სპორტის სახეობად. იგი მხოლოდ მათემატიკოსების ხვედრად მიაჩნდათ. მოგეხსენებათ, რომ იმ დროისათვის კი ქართველი მათემატიკოსი ქალები სანთლით საძებნელი იყვნენ.

ბევრი შრომა და ენერგია მოახმარეს ქართული სპორტის ფეხის ადგმას ჩემმა და-ძმამ თამარმა და გიორგიმ. მაგრამ მათ ოცნებას დღევანდელმა სინამდვილემ წარმოუდგენლად გადააჭარბა. აი, სწორედ ეს მახარებს, რომ საბჭოთა ქართველმა სპორტსმენებმა და მათ შორის ქალებმა ლელო გაიტანეს რესპუბლიკის საზღვრებგარეთ და დიდებით შემოსეს ქართული სპორტი. მივესალმები საქართველოს იმ სპორტსმენ ქალებს, რომლებმაც ახალი სხივი მოჰფინეს მამა-პაპათა დროიდან კეთილი სახელის მქონე ქართველ ასულებს. დღესასწაულის დღეს ვუსურვებ კიდევ უფრო დიდ და სახელოვან სპორტულ წარმატებებს!

რ. ნიკოლაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

საბჭოთა საქართველოს იუბილესადმი მიძღვნილი

საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს ეძღვნება ლენტეხის რაიონის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მიერ ორგანიზებული საზამთრო-სათხილამურო ლაშქრობა, რომელიც 4 მარტს დაიწყო და რომელიც შეიცავს მესამე კატეგორიის სიძნელის მარშრუტს. მოთხილამურეთა ტრასა გადის შემდეგ პუნქტებზე: ლენტეხი-ცანა-უშგული-კალა-მესტია-ბეჩო-გაზერი-ბეჩოს ალპინისტური გადასასვლელი მთავარ კავკასიონზე-ფიჭვნარი - კირინოუზობაქსანი-ნალჩიკი-ალაგირი-ორჯონიკიძე-ყაზბეგი-დუშეთი - თბილისი. ლაშქრობა 22 დღეს გაგრძელდება. მოლაშქრეთა ჯგუფი შედგება 8 სპორტსმენისაგან, რომლებსაც ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ცნობილი ალპინისტი ჯოკია გუგავა.

ვ. ლიპარტელიანი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 29 (1665) ○ სამშაბათი, 7 მარტი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 8 კაპ.

ჩვენი წვლილი უნდა გაიზარდოს

საბჭოთა ქალი-სპორტსმენები უძლიერესნი არიან მსოფლიოში. მათ არაერთი და ორი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერიათ მსოფლიო სპორტის ისტორიაში და მრავალ შეჯიბრებაში გამოსულან გამარჯვებულნი. მძლეოსნებს, ტანმოვარჯიშეებს, მოჭადრაკეებს, ჩოგბურთელებსა და სხვა სახეობათა წარმომადგენლებს ბევრჯერ დაუცავთ ჩვენი ქვეყნის ღირსება საერთაშორისო ასპარეზზე და ამ ტრადიციებს ისინი ახლაც წარმატებით აგრძელებენ.

კარგახანია რაც ბათუმში ვცხოვრობ. ჩამოსვლის პირველ დღიდანვე ჩემი ყურადღება მიიქცია აჭარელ ქალთა ჯერ კიდევ მოკრძალებულობამ, ბევრს კვლავ ერიდება თავიანთი ძალები სცადოს სპორტულ სარბიელზე, რაც ამ ავტონომიური რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციებს ხშირად აკარგვინებს მეტად საჭირო ქულებს, განვიზრახე უფრო ახლო მივიდე აჭარის რაიონების ახალგაზრდა ქალებთან, საკუთარი მაგალითით მივიზიდო ისინი ფიზკულტურასა და სპორტში, ვინ იცის, იქნებ აქაც აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ღირსეულად დაიკავებენ ნ. დუმბაძის, ე. გოკიელის მ. ჯუღელის და სხვათა ადგილებს.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ვუსურვებდი აჭარელ ქალებს მეტი მონდომება, მეტი სიყვარული გამოიჩინონ მშობლიური სპორტის შემდგომი წინსვლისათვის.

ლ. ტუღუში,
სპორტის ოსტატი, მძლეოსანი.

საბჭოთა სპორტის ვეტერანები, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი საბჭოთა სპორტს! ზევიდან ქვევით — სპორტის დამსახურებული ოსტატები ალექსანდრა ჯაფარიძე, ნინო დუმბაძე, მზია ჯუღელი, ელენე გოკიელი, გალინა შარაბიძე.

მაგ სიჩაუქის გდევდეთ ნათელი

მაყვალა მრევლიშვილი

მომავალმა ჩამოგართვათ ეს ძლევამოსილთა ესტაფეტა.

გაგიმხელთ, ჩემო კარგებო, ერთი რიგითი სპორტსმენი მეც ვიყავი. ახლაც სასოებით ვინახავ სამკერდე ნომრებს და პაწია სპორტულ ნიშნებს. შინაც არ დამკლებია სპარტანული წვრთნა: სანადირო თოფს ვერც ვერეოდი და წიგნებზე დაყრდნობილს მომიმარჯვებდნენ მიზანში ამოღებული სანთლის გასაქრობად, არც კოკისპირულ წვიმაში დამზოგავდნენ — წვიმის მილქვეშ შედგმულ კასრში ვჭყუპალობდით! ბავშვობისას მოუხეშავი ქალამნებით მირბენია სკოლისაკენ, რუსთაველის გამზირზე, ფუფუნებისაგან მუდამ შორს ვიყავ, სისადავე და უბრალოება, ნებისყოფის წვრთნა და სულის სიმტკიცე ბევრჯერ დამხმარებია შემდეგ, უკვე სპორტს ჩამოშორებულს.

თქვენს ამტანობას და ნებისყოფას ვეთაყვანები.

ის დვრიტა გიდუღთ, მარადიულ სიჭაბუკეს რომ გვაზიარებს,— ამორძალების შემართებად რომ გაიელვებს და შემოგაფრქვევს მშვენიერებას, ახოვანებას სულისას — ქართველ ასულთა შესახებ მითებად რომ ითხზვოდა უძველეს დროიდან.

თქვენ ნებისყოფის, გამძლეობის ქალღმერთებივით მოხდენილები გამოდიხართ სასპარეზოდ. ძველი ელინური ბადროსმტყორცნელივით დაგიცეცხლავთ მსოფლიოს სტადიონები.

ბოლოს, როცა დედობა დაგძლევთ და შვილებს, შვილიშვილთ გადაულოცავთ ამ უქრობი ცეცხლის ნაპერწკალს, კეთილშობილ სიფიცხეს, გისურვებთ, რომ ღირსეულმა

თქვენს ქალურობას გაკაფება და სიყოჩაღე ამშვენებს მარად. გისურვებთ სულ ასე ჯან-ღონით შეაბერდეთ თქვენ საყვარელ საქმეს და ყველა მიზანს მიღწეოდეთ მაგ შემართებით.

* * *

ნიავქარივით გახვალთ ფინიშთან
რაზმეულები ქართველ ასულთა,
ეგ შემართება ბევრგან ვინიშნეთ
სასპარეზოდ სადაც გასულხართ.

ხან ქურციკივით გამოიქროლებთ—
ჩოგნით პირიმზეს ჩამოიტაცებთ.
ხან კი ზღაპრული რაშის
ფლოქვებით
ცეცხლოვან ნაკვესს ტოვებთ
მიწაზე.

მყინვარს ახსენით ნისლის
მერდინი,
ხან შუქურვარსკვლავს ჰკენწლავთ
გარშემო...
ან ყოვლისშემძლე შემოქმედივით
„მეფეთა“ ბედით მოთამაშენო,—

კვლავ გამარჯვების გერქვათ
ქალღმერთი,
და
როს დაგშვენდეთ დედის
კალთები, —
შინაც, გარეთაც ლელოს გამტანნო,
მაგ სიჩაუქის გდევდეთ ნათელი.

საბჭოთა ჰოკეისტების მტკიცე განაცხადი

4 მარტს შვეიცარიის ყინულოვან სარბიელებზე გრძელდებოდა თამაშები მსოფლიო პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში, ამ დღეს ცენტრალურ მატჩად აღიარებული იყო საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტთა შეხვედრა ლოზანაში, რომელსაც ესწრებოდა 13 ათასი მაყურებელი. მთელი თამაში აღინიშნა საბჭოთა ჰოკეისტების აშკარა უპირატესობით. უკვე პირველი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 3:0, მეორე პერიოდში ჩვენს სპორტსმენებს ერთის წამითაც არ შეუნელებიათ დაწოლა მოწინააღმდეგეთა კარზე და კიდევ ორი შაიბა გაიტანეს, მესამე პერიოდში ანგარიშმა მიაღწია 6:0-ს, ეს იყო დიდი უპირატესობა, რომლის გაქარწყლებაც აღემატებოდა შვეიცარიელების შესაძლებლობებს, თუმცა მათ უკანასკნელ წუთებამდე არ შეუწყვეტიათ გამძაფრებული ბრძოლა, მესამე პერიოდის მეორე ნახევარში მათ შეძლეს კიდეც ორი შაიბის გაქვითვა, საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა დამაჯერებელი უპირატესობით — 6:2.

ამავე დღეს ჩატარდა საინტერესო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს შორის. ჩეხებმა ანგარიშით 4:1 ძლიეს მეტოქეებს. დიდი გამარჯვება მოიპოვა კანადის გუნდმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან — 9:1. გდრ დამარცხდა ფინეთთან — 4:6.

5 მარტს საბჭოთა ჰოკეისტები შეხვდნენ ფინელებს და საინტერესო ბრძოლაში მიაღწიეს მესამე გამარჯვებას — 7:3. ამავე დღეს კანადამ დაამარცხა აშშ — 7:4.

ბიცინით სახე
ბედნიერებით
დიდებით გმოსავთ
სპორტის ღირსება!
გალალებულა
თქვენი ფიქრები,
8 მარტის ნათელ
შუქით ივსება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურათზე: ა. ასიტაშვილი, კალათბურთელი; ნ. ჯაფარიძე, კალათბურთელი; ნ. გაფრინდაშვილი, მოჭადრაკე; ნ. დვალიშვილი, მძლეოსანი; ი. რიაზანოვა, ჩოგბურთელი; მ. ნინოშვილი, ტანმოვარჯიშე; გ. გრიგორიანი, კალათბურთელი; ე. შავდია, მოცურავე, ი. იზაშვილი, მაგიდის ჩოგბურთელი; ლ. გოგოლაძე, მოოხილამურე; რ. აბუანდაძე, ჩოგბურთელი; ლ. იევლევა, მძლეოსანი; მ. ტოგონიძე, მოჭადრაკე; ჯ. ესაიაშვილი, მოფარიკავე; ე. კაკაბაძე, მოჭადრაკე; რ. ქოჩლაძე, მძლეოსანი; ლ. ტუღუში, მძლეოსანი.

კომუნიზმის აქტიური მშენებლები

ხვალ 8 მარტია — ქალთა საერთაშორისო დღე!

ხვალ მსოფლიოს ყველა პროგრესული, პატიოსანი ადამიანი საზეიმოდ აღნიშნავს მშრომელ ქალთა ამ საერთაშორისო დღესასწაულს, თავიანთი დედების, დების, მეუღლეების, შვილების დღესასწაულს, რომელსაც სათავე დაუდო პროლეტარულმა რევოლუციურმა მოძრაობამ — მრავალსაუკუნოვანი უუფლებობიდან ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლამ.

დღეს, მსოფლიოს დიდ ნაწილში — გამარჯვებულ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს კეთილშობილური მიზანი მთლიანადაა განხორციელებული; დღეს საბჭოთა ქალები, ისევე როგორც ყველა სოციალისტური ქვეყნის ქალები, მამაკაცების მხარდამხარ დგანან კაცობრიობის სანუკვარი მიზნის — კომუნიზმის მშენებლობის ხარაჩოებზე და მათთან ერთად სჭედენ ჩვენს გამარჯვებებს.

საითაც არ უნდა გაიხედოთ დღეს, ჩვენი ძლევამოსილი მშენებლობის რომელ უბანზეც — ქარხნებში თუ ფაბრიკებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ პლანტაციებში, ლაბორატორიებსა თუ დაწესებულებებში — ყველგან თავიანთი ღირსეული შრომითი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ქალებს; ოჯახი, ბავშვთა ბაგები, ბავშვთა ბაღები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები — ესაა ფართო, კეთილშობილური ასპარეზი, სადაც ახლებურ, სოციალისტურ საფუძველზე ახორციელებს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საბჭოთა ქალი თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობას — მომავალი თაობის აღზრდას და თავის სულიერ სიმშვენიერეს, სიმდიდრეს, ყველა ძვირფას თვისებას გადასცემს მას; თავისი სულიერი კეთილშობილება, თავისი დიდი ნიჭი და უნარი შეაქვს საბჭოთა ქალს კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში, ყველა სფეროში. იგი ჩვენი საზოგადოებრიობის მოწინავეთა რიგებში დგას და მხრებგაშლილი, თავაწეული, მხნე ნაბიჯებით მიდის წინ, პროგრესისაკენ ჩვენი დიადი მსვლელობის მხარდამხარ. ნ. კრუპსკაიას, ლ. ოსიპენკოს, ზ. კოსმოდემიანსკაიას, ვ. გაგანოვასა და სხვა მრავალი საბჭოთა ქალის ცხოვრება, შრომა, ბრძოლა და მოღვაწეობა ყოველივე ზემოთქმულის თვალსაჩინო, მკაფიო დადასტურებაა.

საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდი ყურადღებითა და ზრუნვით მოსავდნენ და მოსავენ საბჭოთა ქალების უფლების, ღირსების, შრომისა და დასვენების საკითხს. ამ დიადი ზრუნვის, ამ დიდი ყურადღების შედეგია სწორედ ყველა ის წარმატებანი, ის შესანიშნავი გამარჯვებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ქალებმა მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ფრონტებზე. აქ დიადი, დაუცხრომელი ზრუნვის შედეგია, კერძოდ, ის ბრწყინვალე გამარჯვებებიც, რომლებიც ჩვენმა ქალებმა მოიპოვეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სპორტსმენი ქალები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობა ქალთა შორის, უძლიერესნი არიან მთელს მსოფლიოში. მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და სპორტის მთელი რიგი სხვა სახეობები უკვე კარგახანია წარმოადგენენ ისეთ მწვერვალებს, რომელთა უმაღლეს წერტილზე დგანან საბჭოთა ქალი სპორტსმენები.

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის, ყველა მოძმე რესპუბლიკების ქალთა მხარდამხარ, მათს ავანგარდში დგანან ქართველი ქალებიც, რომელთა სახელოვანი საქმეებით არის აღბეჭდილი საბჭოთა საქართველოს ყოველი შემოქმედებითი დღე, აქ გაშლილი მძლავრი მშენებლობის ყოველი უბანი. ქართველი ქალი კარგახანია გავიდა კომუნისტური შრომის, კომუნისტური მშენებლობის ფართო გზაზე. მისი მადლიანი მარჯვენა ტრიალებს დღეს ყველგან, სადაც კი საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვენ მოწინავე ადამიანებს — საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ბაღვენახებში, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში; ჩაის მკრეფავი, მემინდვრე, მეფრინველე, მწველავი, მრავალდაზგოსანი, მეცნიერი, ხელოვანი და პედაგოგი ქართველი ქალის სახელი უკვე კარგახანია შორს გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებსაც გადააბიჯა!..

კარგახანია შორს გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებს ქართველი სპორტსმენი-ქალის სახელიც! ეს სახელი ჩაუქრობელი შარავანდედით შემოსეს სახელოვანი სპორტსმენების: პირველი საბჭოთა ალპინისტი ქალის ა. ჯაფარიძის, მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო რეკორდსმენის — ნ. დუმბაძის, ძველი პლეადისა და მათი ღირსეულად შემცვლელი თაობის შესანიშნავი წარმომადგენლების ე. გოკიელის, მ. ჯუღელის, ნ. დვალიშვილის, გ. შარაბიძის, ი. რიაზანოვას, ნ. გაფრინდაშვილის, მ. ნინოშვილის, ლ. ტუღუშის, ლ. იევლევას, ლ. გოგოლაძისა და სხვათა მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა და მრავლისამთქმელმა წარმატებებმა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ძვირფასი ტრადიცია, რომელიც ჩვენი ღვაწლმოსილი სპორტსმენი ქალების მეოხებით დამკვიდრდა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში და რომელიც მათ მაღალმოქალაქეობრივ და მშობლიურ ღირსებებზე მეტყველებს; გადავიდნენ რა მოქმედი სპორტული მოღვაწეობიდან, ისინი დღესაც იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ასპარეზობებში თავიანთი მრავალრიცხოვანი აღზრდილებით, ხოლო ზოგიერთი მათგანის სახელოვან წარმატებებს მათივე შვილები აგრძელებენ. ასე გადასცეს, დედურ ვალთან ერთად, თავიანთი მდიდარი სპორტული გამოცდილებაც ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა ქალებმა — ნ. დუმბაძემ, ე. გოკიელმა, ლ. გელოვანმა, მ. ჯუღელმა თავიანთ შვილებს, ამუამად რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებს — ი. დუმბაძეს, დიანა ჩკოვს, გ. გვინჩიძეს, მ. ტოგონიძეს, ი. არხანგელსკაიას და მრავალ სხვა აღზრდილებსაც, რომლებიც, ეჭვი არაა, კიდევ უფრო გაამრავლებენ და ასახელებენ მშობელთა ამ ამაგს, მიღწევებს, წარმატებებს.

საბჭოთა საქართველო მოწინავე სპორტული რესპუბლიკაა და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ სპორტსმენ ქალებსაც. მაგრამ, იმისათვის, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს იგი, საჭიროა იმ ჩამორჩენებისა და ხარვეზების დაძლევაც, რომლებიც ჩვენ ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში გაგვაჩნია და რომლებიც მნიშვნელოვნად დაბლა სწევენ ჩვენს საერთო მაჩვენებლებს. მასობრივმა ფიზკულტურულმა მოძრაობამ ქალთა შორის ღრმად უნდა გაიკვალოს გზა არა მარტო დედაქალაქში და რესპუბლიკის ორიოდე მსხვილ სამრეწველო - ადმინისტრაციულ ქალაქში, არამედ რაიონებშიც, სოფლადაც, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც, სადაც სხვადასხვა ცრურწმენებისა და შემზღუდველი, ჩამორჩენილი ტრადიციების ძალით არა ერთი და ორი სპორტული ტალანტია ჩახშობილი, არა ერთი და ორი დუმბაძე და გოკიელი, ჯაფარიძე და გაფრინდაშვილია გამოუვლინებელი ნიჭიერ ქართველ ქალთა მასებში.

ხვალ 8 მარტია — ჩვენი დედებისა და დების, მეუღლეებისა და შვილების სახელოვანი დღესასწაული!.. მაშ კვლავ ახალ-ხალი გამარჯვებები ვუსურვოთ მათ კეთილშობილური შრომისა და მოღვაწეობის ყველა ფრონტზე. — მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, სწავლასა და სპორტში!.

დიდება საბჭოთა ქალებს! კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

XXII
საჭადრაკო ჩემპიონატი
მეთორმეტე ტური

თამაშის დაწყების წინ ხოლმოვის წინადადებით ჯანოევი ყაიმზე შეუთანხმდა გროსმაისტერს მეთერთმეტე ტურის გადადებულ პარტიაში.

—რატომ შეუთანხმდა გურგენიძე ყაიმზე კალატოზიშვილს? — კითხულობდნენ გაკვირვებული მაყურებლები. — მას ხომ შეეძლო ორიოდე სვლაში შამათის გამოცხადება.

ნამდვილად შეეძლო, მაგრამ მწვავე ციტნოტში იყო და ვეღარ „მოჰკრა" თვალი შამათს. კიდეც რომ დაენახა, შეიძლება ვერც მოესწრო სვლების გაკეთება. ასე დამთავრდა კალატოზიშვილ-გურგენიძის პარტია, რომელიც თავიდანვე აღინიშნებოდა დაძაბული თამაშით.

—ტყვარჩელელებმა დამბარეს, — თქვა საუბარში ბრეიტმანმა, — ტურნირში როგორც არ უნდა ითამაშო, ლიდერებს მაინც „დაამახსოვრე" თავი. ამიტომ ლიდერებთან განსაკუთრებული მონდომებით ვთამაშობ.

ხანდაზმული მოჭადრაკის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია. მან პირველი დამარცხება მიაყენა შტეინს. თავი „დაამახსოვრა" გუფელდსაც. ძველინდური დაცვიდან კიეველი ოსტატი პერსპექტიული თამაშით გამოვიდა. იგი შეეცადა იერიშის განვითარებას მეფის ფრთაზე. მაგრამ წააწყდა ბრეიტმანის ორგანიზებულ დაცვას და იძულებული გახდა დათანხმებოდა ბრძოლის გამარტივებას. დაბოლოება საყაიმოა აღმოჩნდა, რაზეც მეტოქეები შეთანხმდნენ. ეს გუფელდის პირველი ყაიმია.

მხოლოდ 16 სვლა გაგრძელდა შტეინ-ჯანოევის შეხვედრა. ესპანურ პარტიაში თეორიულ ვარიანტს მოჰყვა ჯანოევის შეცდომა, რასაც გამანადგურებელი იერიში უნდა მოჰყოლოდა. ეს იგრძნო ჯანოევმა და დანებდა. ესპანური პარტიის მწვავე სისტემას მიმართა ლომაიამ ეგიაშვილთან, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ეგიაშვილმა ჩინებულად გაითამაშა დებიუტი, შეუტია მეფეს, მის დევნაში მატერიალური უპირატესობაც მოიპოვა და გაიმარჯვა.

ბერაძემ ვოლგის გამბიტში პაიკი შესწირა გამრეკელს და შემტევი პოზიცია მიიღო. წყალტუბოელი მომხიბლავი ოსტატობით ავითარებდა იერიშს. ცენტრში დარჩენილ მეფეზე. მხედრის შემდეგ პაიკის დათმობით მან გახსნა ხაზები და შეიჭრა თეორების განლაგებაში. გამრეკელის მეფე აქეთ იქით აწყდებოდა, მაგრამ მაინც გაება შამათში.

გაგუა-ბლაგიძის პარტიაში იყო მომენტი, როცა ოსტატი წარბშეკრული შველას ეძებდა. მაგრამ შემდეგ მოხდა ისე, რომ გაგუა ოცნებობდა გადარჩენაზე. ბოლოს ეს „ნერვების" ამშლელი პარტია ყაიმით დასრულდა. მიქაელიანმა პოზიციურ ბრძოლაში სძლია ჩიქოვანს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეცამეტე ტური

ყურადღების ცენტრში იყო გურგენიძე-ბუსლაევის შეხვედრა. სიცილიურ დაცვაში ბუსლაევმა მალე დაკარგა როქი, გურგენიძემ დათმო ორი მსუბუქი ფიგურა ეტლსა და ორ პაიკში. გაჩაღდა ცხარე ბრძოლა, რომელიც დაბოლოებაში გადავიდა. პარტია არ დამთავრებულა. გურგენიძეს ეტლი და ორი პაიკი აქვს ბუსლაევის მხედრისა და ორი პაიკის წინააღმდეგ.

ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა ბლაგიძემ, რომელმაც დაამარცხა შეინცვიტი. კომბინაციურ სტილში ბერაძემ მოუგო კალატოზიშვილს. საინტერესო გამოდგა შიშოვ-ხოლმოვის პარტია, რომელიც გროსმაისტერმა მოიგო. ლომაიამ დაამარცხა მიქაელიანი, შტეინმა — იზვოზჩიკოვი, გუფელდმა — ჯანოევი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

* * *

ჩემპიონატი მიმდინარეობს შ. რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზის სცენაზე. კულისებში კი ხდება პარტიების გარჩევა, ანალიზი.

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილი და ლ. ნაჭყებია არჩევენ პარტიას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პირველი მაჯჩები

გასულ კვირას თბილისში, ვ. ი. ლენინის სპორტულ დარბაზში დაიწყო „ბ" კლასის გუნდების საკავშირო ზონალური პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის სკიფი, სვერდლოვსკის „ტრუდი", მოსკოვის „სპარტაკი", ალმა-ატის „ბურევესტნიკი", ბაქოს „ნეფტიანიკი", ომსკის „ბურევესტნიკი", ოდესის სკა და ვინიცის ვაჟთა გუნდი.

შეჯიბრება გახსნეს სვერდლოვსკის „ტრუდისა" და ვინიცის ფრენბურთელებმა. სვერდლოვსკელებმა მატჩი დიდი აღმავლობით ჩაატარეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3 : 1. ბაქოს „ნეფტიანიკმა" ჯეროვანი მეტოქეობა ვერ გაუწია ომსკელ სტუდენტებს და წაგო შეხვედრა მშრალი ანგარიშით — 0 : 3. ძალზე საინტერესო გამოდგა მოსკოვის „სპარტაკისა" და ოდესის არმიელთა თამაში. პირველი პარტია არმიელ ფრენბურთელთა მძლავრი შეტევებით დაიწყო, რომელთა შორის გამოირჩევიან ჩვენი ქვეყნის ერთერთი უძლიერესი სპორტსმენი ე. უნგურსი და ვ. ზისელსი. პირველის უძლიერესი დარტყმების მოსაგერიებლად სპარტაკელებმა ვერაფერი გააწყეს, ხოლო ვ. ზისელსი ისევე ძლიერი იყო თავდასხმაში, როგორც დაცვაში. ოდესელები სამივე პარტიაში მეტოქეებზე გაცილებით ძლიერად თამაშობდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3 : 0 (15 : 9, 15 : 9, 15 : 11).

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ფრენბურთელები ადვილ გამარჯვებას მოიპოვებდნენ ალმა-ატელ კოლეგებთან. ეს მოლოდინი პირველ პარტიაში გამართლდა, როცა თბილისელებმა მოუგეს იგი ანგარიშით 15 : 13. მეორე პარტიაში თბილისელი სტუდენტები ოდნავ მოეშვნენ, რითაც კარგად ისარგებლეს მოწინააღმდეგეებმა და ანგარიში გათანაბრდა— 1 : 1. მესამე და მეოთხე პარტიაში ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და ადვილად შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 15 : 4, 15 : 8.

დღეს ჩვენი ფრენბურთელები ხვდებიან ოდესელ არმიელებს.

გუნდური პირველი ადგილი

რიგა. (ტელეფონით). აქ ქალაქის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ხუთი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს ხუთჰიდელთა შეჯიბრება სამჭიდში.

ფარიკაობაში 1000 ქულა მიიღო ლატვიელმა პირველთანრიგოსანმა ვ. კოცინშმა და ესტონელმა ე. ლივაკმა. ე. ლივაკი უძლიერესი იყო ცურვაშიც. სროლაში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ზ. გვასალიას (საქართველო), რომელმაც 200 შესაძლებლიდან 191 ქულა მოაგროვა.

პირად შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ესტონელი ა. ლეკა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებმაც ხამჭიდში — მოაგროვეს 9830 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლატვიის და უკრაინის წარმომადგენლები.

ახლოვდება ფეხბურთის სეზონი, სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა მღელვარე დღეები. ეზზადებიან ამ მარათონული შეჯიბრებისათვის სტადიონების დირექციები და, რაც მთავარია, გუნდები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებს ტექნიკური ილეთების დამუშავებისას. ეს გუნდი გასულ წელს არც თუ ცუდი შედეგით გამოვიდა „ბ" კლასის გუნდების გათამაშებაში. გუნდს წელსაც გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს საპატიო ადგილისათვის.

ფოტო დ. გურგენიძისა.

ბაქო — თბილისი

კარგი ტრადიცია აქვთ თბილისელ და ბაქოელ მოცურავეებს, ისინი რიგრიგობით ეწვევიან ერთმანეთს და ატარებენ სამატჩო შეხვედრებს ცურვაში. ასეთი მორიგი მატჩი მოეწყო თბილისში, 5 მარტს.

მატჩი ქალთა წინასწარი გაცურვებით დაიწყო. ფინალში გასვლა გაინაღდა და ბაქოს გუნდს პირველი ქულები მოუტანა საქართველოს ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ამჟამად ბაქოს გუნდის წევრმა რ. არკადიევამ. სამი დანარჩენი ფინალისტი გამოდგნენ მასპინძლები — კალმიკოვა, ბერძენიშვილი და მაკეევა.

სურათი არც ფინალისტ ვაჟთა შორის შეცვლილა. მასში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ბაქოელმა პრილიპკომ და თბილისელებმა — სივიცკიმ, კობეცკიმ და კორბუკოვმა, რომელთა შორის უკეთესი შედეგი 59,6 წამი ამ უკანასკნელს ქონდა.

საინტერესოდ ჩატარდა ბრასისტ ქალთა შეჯიბრება, რომელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელი ლ. კრილოვა. მისი შედეგი 1 წუთი და 25,5 წამი ახალი რესპუბლიკური მიღწევაა.

ამანათცურვაში 4×100 თავისუფალი სტილით საქართველოს რეკორდის საწყის ნორმატივად დაწესებულია (25 მეტრიანი აუზისათვის) 4 წუთი და 5 წამი. ამ ნორმატივზე იერიში მიიტანეს და რეკორდის გაუმჯობესება სცადეს არმიელთა სპორტკლუბის მოცურავეებმა. პირველი ეტაპი კარგად გაცურა ვ. კობეცკიმ. მან მანძილი დაფარა 1 წუთსა და 1 წამში, მაგრამ მეორე ეტაპზე მყოფმა ა. სუდარიკოვმა რეკორდი საფრთხეში ჩააგდო, თავისი ეტაპის გაცურვას შოანდომა 1 წუთი და 3 წამი. ამრიგად, ნახევარ დისტანციას მოუნდა 2 წუთი და 4 წამი. დისტანციის მეორე ნახევრის გასაცურავად 2 წუთი და 1 წამიღა დარჩათ სპორტის ოსტატ ბ. ნიკიტინს და მ. კორბუკოვს. მდგომარეობა ნიკიტინმა გამოასწორა მან მესამე ეტაპი 58,2 წამში გაცურა და კორბუკოვს ისღა დარჩა, რომ წამმზომის ისრები 4 წუთზე და 2,2 წამზე შეეჩერებინა და რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში ახალი შედეგი ჩაეწერა.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ა. ბარნოვი

არცერთი საპრიზო ადგილი

საბჭოთა კავშირის 1961 წლის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

მინსკი, 5 მარტი. დამთავრდა ხაბჭოთა კავშირის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. როგორც ვიუწყებოდით, აქ გათამაშდა მედლები მძიმე, საშუალო, მსუბუქ და მჩატე წონებში. სამწუხაროდ, ვერცერთ წონაში ჩვენმა წარმომადგენლებმა საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს.

მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა შახოვი, რომელმაც ფინალში წმინდად დაამარცხა სიიდოვი. მეორეზეა მინსკელი ლოსიკი, მსუბუქ წონაში სინიავსკიმ ქულებით დაამარცხა ჯღამაძე, კოჩიევ-ბესტაევის შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ამ წონაში ასეთი მდგომარეობაა: სინიავსკი, ჯღამაძე, კოჩიევი.

საშუალო წონაში მინსკელმა ლიტუნმა წმინდად მოუგო ორჯონიკიძელ ავეტისიანს, ავეტისიანმა თავის მხრით ორივე ბეჭზე დადო აქსიონოვი. პირველ ადგილზეა ლიტუნი. მძიმე წონაში ადგილები ასე განაწილდა: მედვედი, ძარასოვი, ივანიცკი.

ინტერესსმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ჩვენი მოჭიდავეების შედეგებს. მჩატე წონაში არსენიანმა დაიკავა მე-10 ადგილი, მჭედლიშვილმა — მე-6, მაისურაძემ — მე-19, შეყრილაძემ — 21-ე. მსუბუქ წონაში — მახარაძემ — მე-8, კოშკაძემ — მე-9, საშუალო წონაში — დავლიანიძემ— მე-10, ცხოვრებოვმა — მე-14, ბეშველიანმა — მე-13, კილასონიამ — 27-ე, ბალავაძემ — მე-19, ვართანოვმა — მე-12, სხირტლაძემ — მე-6, მძიმე წონაში — კანდელაკმა — მე-7, კიკნაძემ — მე-10, ბზირიშვილმა—მე-13 და ხითარიშვილმა — მე-12.

ნ. გუგუშვილი,

ჩვენი ხპეც. კორესპონდენტი.

ფეხბურთის ტურნირი

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დასასრულს უახლოვდება საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპი — გათამაშება ზონებში.

დასავლეთ ზონაში პირველ ადგილზეა რესპუბლიკის ექს-ჩემპიონი „ბორუსია“ (დორტმუნდი), რომელსაც მეტად ძლიერი თავდასხმა ჰყავს. აღსანიშნავია, რომ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში გფრ-ს ცენტრალური თავდამსხმელი კელბასა ახლა აქ ცენტრალურ მცველად თამაშობს. ჩრდილოეთის ზონაში კონკურენციის გარეშეა „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, რომელსაც 19 თამაშის შემდეგ აქვს 35 ქულა. ასევე დაწინაურდა სამხრეთის ზონაში „ნიურნბერგი“, ხოლო დასავლეთ ბერლინის ჩემპიონობა უკვე გაინაღდა „ჰერტამ“. სამხრეთ-დასავლეთ ზონაში წინაა „ფკ პირმაზენსი“.

* * *

არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად თურქეთში გრძელდება ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. და მაინც ნათამაშევი ტურების რაოდენობა გუნდებს არათანაბარი აქვთ. ასე, მაგალითად, გათამაშების ლიდერმა „ფენერბახჩემ“ დღეისათვის მოაგროვა 42 ქულა, მაგრამ მას ჩატარებული აქვს 26 მატჩი, მაშინ როცა მეორე ადგილზე მყოფმა „გალატასარაიმ“ ითამაშა 23 მატჩი, რომელთაგან დააგროვა 37 ქულა, 24 მატჩი აქვთ ნათამაშევი „ბეშიქთაშსა“ და „ბეიკოზს“, ხოლო მათ აქტივშია 33 ქულა.

* * *

ამ დღეებში მონტევიდეოში შედგა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშების კენჭისყრა.

კენჭისყრის ძალით ფავორიტები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ პირველივე წრეში, ესენია არგენტინის ჩემპიონი „ინდეპენდენტე“ და ბრაზილიის 1960 წლის თასის მფლობელი „პალმეირასი“. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ფაქტიურად ეს უკვე ფინალური მატჩია.

დანარჩენი გუნდები დაიყვნენ შემდეგნაირად: „პენიაროლი“ (ურუგვაი)-„უნივერსიტარიო“ (პერუ), „ოლიმპია“ (პარაგვაი)- „კოლო კოლო“ (ჩილი), „სანტა-ფე“ (კოლუმბია)-„ბარსელონა“ (ეკვადორი), „სან ხოსე დორო“ (ბოლივია) თავისუფალია და მეორე წრეში შეხვდება „ინდეპენდენტესა“ და „პალმეირასს“ შორის გამარჯვებულს.







ს უ რ ა თ ებ ზ ე: ჩოგბურთელთა მოსკოვის ტურნირის მონაწილენი მარცხნიდან — ს. ლაზარინი (იტალია), დ. კეტი (ინგლისი) და დ. დელმი (აშშ) თამაშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

ი. რიაზანოვას ორი გამარჯვება

მოსკოვში, „დინამოს“ დახურულ კორტებზე დამთავრდა ტურნირი, სადაც მეკიბეები ერგებოდნენ, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი, საფრანგეთის, იტალიისა და გდრ-ს უძლიერესი სპორტსმენები. საქართველოს წარმომადგენელმა ი. რიაზანოვამ პირველი გამარჯვება გასულ შაბათს მოიპოვა, როცა ა. დმიტრიევასთან ერთად მოუგო ფილიპოვა-პრეობრაჟენსკაიას წყვილს (6:0, 6:2) და მოიპოვა პირველი ადგილი.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ერთეულთა შეხვედრები უძლიერესის გამოსავლინებლად, ვაჟთა შორის გამარჯვებულს სახელი მოიპოვა ტალინელმა სტუდენტმა თ. ლეიუსმა, რომელიც ფინალში შეხვდა ინგლისის უძლიერეს ჩოგბურთელს ა. ნილსს, საბჭოთა სპორტსმენმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:1 (6:2, 6:3, 5:7, 7:5), ვაჟთა წყვილებში უძლიერესი აღმოჩნდნენ ამერიკელი სპორტსმენები დ. დელმი და მ. ფრენკსი, რომლებმაც ფინალში მოუგეს მ. მოზერ - ს. ლიხაჩოვის წყვილს — 3:0 (6:3, 6:4, 6:0).

კორტზე არიან ერთეულთა შორის ფინალური შეხვედრის მონაწილენი ი. რიაზანოვა და იტალიელი ს. ლაზარინო, პირველ პარტიაში წინ გავიდა იტალიელ სპორტსმენი, რომელმაც შეძლო კიდეც გამარჯვების მოპოვება — (8:6). მეორე პარტიაში თბილისელმა სპორტსმენმა აიღო რევანში — 6:2 — შესვენებამ იტალიელს ვერ უშველა. ი. რიაზანოვამ შემდეგ პარტიაში გამანადგურებელი ანგარიშით (6:0) დაამარცხა ს. ლაზარინო და მოიპოვა პირველი ადგილი.

მაყურებელი მქუხარე ტაშით შეხვდა თბილისელი სტუდენტის გამარჯვებას, რომელმაც ამ შეჯიბრებაზე მოუგო საფრანგეთის უძლიერეს სპორტსმენს ფ. დე-ლა კურტს, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონს ა. დმიტრიევას და ბოლოს ს. ლაზარინოს.

მა და ფერნანდესი; მცველები და ნახევარმცველები — ვალდესი, ეზაგირე, ტორესი, ნავარო, სანჩესი; თავდამსხმელები — როდრიგესი, მ. სოტო, ტორო, მორენო, ტოვარი, ხ. სოტო, ვერდეჰო და ჰოფმანი.

მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩილელებმა წააგეს კიდევ ორი მატჩი — ურუგვაისთან (2:3) და ესპანეთთან (0:4), რიერა მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. იგი კმაყოფილებას გამოთქვამს გუნდის ფიზიკური მომზადებით და მისი საბრძოლო სულისკვეთებით, ხოლო ტექნიკის სფეროში არსებული ხარვეზების გამოსწორებას ჩილელები მთელ თავიანთ ყურადღებას დაუთმობენ.

გ. გამრეკელი

გვმირდება კალენდარი ქართულ ენაზე

ყოველ წელს საკავშირო გათამაშების დასაწყისში გამოდის ხოლმე საკავშირო შეჯიბრებათა კალენდარი რუსულ ენაზე და ისიც მცირე ტირაჟით.

ჩვენის აზრით ურიგო არ იქნება, თუ ამგვარი კალენდარი გამოვა ქართულ ენაზეც და მასობრივი ტირაჟით, გარდა ამისა, კალენდარში საჭირო იქნება ჩვენი რესპუბლიკის „ბ“ კლასის გუნდების შეხვედრათა განრიგის მოყვანაც.

გ. ქარჩავა

რ ო გ ო რ ე მ ზ ა დ ე ბ ი ა ნ მ ა ს პ ი ნ ძ ლ ე ბ ი

ჩილელთა ხვედრითი წონა სამხრეთ ამერიკულ ფეხბურთში ერთობ უმნიშვნელოა. ისინი სისტემატურად განიცდიან მარცხს თავიანთ მძლავრ მეტოქეებთან შეხვედრაში, ხოლო მათი ცალკეული გამარჯვებები ნამდვილ სენსაციას იწვევს. მაგალითად, სამხრეთ ამერიკის 1959 წლის ჩემპიონატში ჩილელებმა დამარცხება განიცადეს არგენტინელებთან, ბრაზილიელებთან და ერთადერთი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვეს ურუგვაისთან.

ჩილელებს თვლიან „არგენტინის გასაღებად“ ფეხბურთში. ეს იმით აიხსნება, რომ უძლიერეს გუნდებს წვრთნიან არგენტინელები, წამყვანი ფეხბურთელები არიან არგენტინელები და, საერთოდ, ჩილელებზე დიდ გავლენას ახდენს არგენტინელთა თამაშის ტაქტიკა.

ჩილის გუნდს ძალზე გაუჭირდებოდა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით თამაშებში მოხვედრა, რომ ყიულ რიმეს თასის გათამაშების დებულებით მასპინძელი განთავისუფლებული არ იყოს შესარჩევი მატჩებისაგან.

ყოველივე ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩილის ფეხბურთის მესვეურებს, სწორედ ამით აიხსნება ის დიდი მზადება, რომელიც ჩილში მიმდინარეობს ამჟამად. ნაკრებსა და მის მწვრთნელს ფერნანდო რიერას ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი, რათა თავი არ შეირცხვინონ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

სადაზვერვო მოგზაურობა ევროპაში

განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ პერიოდში ჩილელთა



ყველაზე დიდი გამარჯვება იყო არგენტინელებთან მოგება (პირველად 40 წლის განმავლობაში), რასაც სპორტულმა პრესამ ხუმრობით უწოდა „პატიმართა აჯანყება“. ჩილში არსებულ მწვრთნელთა სკოლაში მორიგეობით იქნენ მოწვეული ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტები ევროპიდან, რომლებმაც ბევრი რამ ასწავლეს მასპინძლებს. შარშან, მაგალითად, ჩილში ხანგრძლივი დროით იყო მოწვეული ცნობილი ფრანგი სპეციალისტი და მიმომხილველი გაბრიელ ანო.

შარშან მარტში ფ. რიერამ მოაწყო ჩილის ნაკრების გასტროლები დასავლეთ ევროპაში. ამისი მიზეზი იყო ევროპული ფეხბურთის ახლოს გაცნობა ტაქტიკის დარგში. ევროპის გუნდებს ჩილელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა ვერ შეძლეს ვერც ერთი მატჩის მოგება. ფ. რიერა ახლოს იცნობს ჩილელთა პირველ მეტოქეებს — ფრანგებს, ვინაიდან იგი რამდენიმე წლის მანძილზე თამაშობდა პარიზის „რესინგში“. ჩილელთა დებიუტი პარიზის სტადიონზე ნამდვილი კატასტროფით დამთავრდა. ფრანგებმა კოპას, ვისნესკისა და პიანტონის გარეშე 6 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში. ამ მკაცრ გაკვეთილს ჩილელთათვის ამაოდ არ ჩაუვლია. ერთი კვირის შემდეგ ისინი შტუტგარტში შეხვდნენ მსოფლიო ექს-ჩემპიონს — გფრ-ს. არავის ეპარებოდა ეჭვი მასპინძელთა იოლ გამარჯვებაში, მაგრამ ასეთი პროგნოზის მიუხედავად გერმანელებმა დიდხანს ვერაფერი დაიკლეს თავიანთ გამოუცდელ მეტოქეებს და პირველი გოლიც გაუშვეს თავიანთ კარში. საბოლოოდ მათ ძლივს მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:1.

შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად ჩილელებმა წააგეს ირლანდიელებთან — 0:2, შვეიცარელებთან — 2:4 და ფრედ ითამაშეს ბელგიელებთან — 1:1.

ასეთი უნუგეშო შედეგების მიუხედავად ჩილელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. გუნდი მეტად ახალგაზრდაა, სისტემატურად თამაშობს ერთი შემადგენლობით და გარკვეული ხნის შემდეგ მოსალოდნელია მისი კლასის თვალსაჩინო ზრდა.

ფ. რიერა ოპტიმისტურადაა განწყობილი

სამშობლოში დაბრუნებისთანავე რიერამ გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადა არგენტინელებს. წამყვან კლუბებში უცხოელთა ბატონობა ნაკრების ხელმძღვანელთათვის მეტად უსიამოვნო ამბავია. ავიღოთ მაგალითად, სანტ-იაგოს უძლიერესი კლუბი „ვალპარაიზო უონდერერსი“. იგი ნაკლებად ჰგავს ჩილის კლუბს. გუნდში გაბატონებული არიან უცხოელები, უმთავრესად არგენტინელები. ამის საწინააღმდეგოდ რიერა ემყარება ეროვნულ კადრებს. მიაჩნიათ, რომ მისი მიმბაძველობა ფრანგული სკოლისადმი დროებით ხასიათს ატარებს და როცა მწვრთნელი „სულს მოითქვამს“, იგი უკუაგდებს ფრანგულ ტაქტიკას და საკუთარი სქემით იხელმძღვანელებს.

ჯერჯერობით ჩილელები ვერ მიეღნენ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდებთან. მეტად დიდი განსხვავებაა ტექნიკაში, გუნდს არა ჰყავს თვალსაჩინო ოსტატები. ერთადერთი გამოჩენილი ჩილელი ფეხბურთელი ჰენტო უკვე კარგა ხანია „ნაციონალიზებულია“ ესპანეთში და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშობს.

ჩილის ფეხბურთის ფედერაციამ დაასახელა ნაკრების კანდიდატთა სია. ეი ისინიც: მეკარეები კოლომა და ფერნანდესი; მცველები და ნახევარმცველები — ვალდესი, ეზაგირე, ტორესი, ნავარო, სანჩესი; თავდამსხმელები — როდრიგესი, მ. სოტო, ტორო, მორენო, ტოვარი, ხ. სოტო, ვერდეჰო და ჰოფმანი.

მოკრივეები დამჯერი ხალხია

ყველაზე უფრო დამჯერი და თვინიერი ბავშვებია. ჩემი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ მომიხდა ყური ამეწია ერთ-ერთი მათგანის, პენტისათვის, მაგრამ ისიც ამის შემდეგ ისეთივე მორჩილი გახდა, როგორც სხვები“.

ჩვენს მხრივ დავუმატებთ, რომ, ეს ის პენტი ჰამალაინენია, რომელმაც 1952 წელს მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება კრივში, ქ-ნი ჰამალაინენი, რომელიც ჰელსინკში ცხოვრობს, მეტად ამაყობს თავისი ექვსი ვაჟით. ისინი ყველანი მოკრივეები არიან.

ერთ-ერთი ფაგზეთის წარმომადგენელს ქ-მა ჰამალაინენმა ამას წინათ განუცხადა: „მოკრივეები

რედაქტორი ი. უგულავა.

ხ ვ ა ლ!

3. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზში
საკავშირო პირველობა
კალათბურთში
(ქალები)
„ბურევესტნიკი“ (ბაქო) —
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)
დასაწყისი 19 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УФ 00949